ხელშეკრულება №45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „30" „მარტი" 2017 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი" (მისამართი: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ #1, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/კ-404497790), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნინო ქუბანიძის** სახით და მეორე მხრივ, **სს „სილქნეტი"** (მისამართი: ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის #95; ტელეფონი: 2 100 100; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE41BG0000000878415000; სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22 ს/კ-204566978), შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი მისი **კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის **2012 წლის 26 სექტემბრის #1805** განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტის" ოფისისათვის IP სატელეფონო (4 ნომერი) მომსახურება, „დანართი #1"-ის შესაბამისად.
(CPV-64215000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 100,00 (ასი) ლარს.

3.2. ერთ ნომერზე ერთი თვის მომსახურების სააბონენტო ღირებულებაა 10.00 (ათი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2017 წლის 1 აპრილიდან 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით ქ. თბილისში, თაბუკაშვილის #5-ში.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.მომსახურების ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებაში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოების მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება შემდეგ სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს სააბონენტო მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **მომსახურების მიწოდების** ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიმობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი საავარაუდო აღმოთხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე _ შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
ტელეფონი: 599096600
ს/კ: 404497790
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№: 302007002,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,

დირექტორი
ნინო ქუბინიძე

მიმწოდებელი

სს „სილქნეტი"
მისამართი: ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის #95;
ტელეფონი: 2 100 100;
ს.კ-204566978
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE41BG0000000878415000;
სს "საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22

კომერციული დირექტორი
ნუგზარ ჩინჩალაძე

დანართი #1

„აბონენტის" მიერ მისაღები „მომსახურებ(ებ)ის" ჩამონათვალი

წინამდებარე დანართი დადებულია 2017 წლის 28 თებერვალს

წინამდებარე დანართით და „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, „აბონენტი" „კომპანიისგან" იღებს ქვემოთ მოცემულ „მომსახურებებს" ოპტიკურ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით.
მომსახურების მიწოდების მისამართი:
ქ. თბილისი, ლეონიძის 1 (01.01.2017-15.01.2017)
ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 3 (16.01.2017-28.02.2017)

ვოიპ სატელეფონო ნომრები: 322400188, 322400129, 322400130, 322 400178

1. **ვოიპ მომსახურების გააქტიურების ღირებულება**

მომსახურება	ღირებულება ლარში
VOIP ნომრის გააქტიურების ერთჯერადი გადასახადი	0

ტექნიკური მოწყობილობები	ღირებულება ლარში
ოპტიკური ინტერნეტ მოდემი (4 პორტიანი)**	(მოწყობილობა აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში) ოპტიკური ინტერნეტის მოდემით დროებით სარგებლობის ღირებულება გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახადში

ძირითადი ტარიფები	ღირებულება ლარში
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი თითოეულ VOIP სატელეფონო ნომერზე	10
1 წუთი ზარის ღირებულება:	
ადგილობრივი ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო
საქალაქთაშორისო ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო
ზარი სილქნეტის მობილურ ქსელში (S1)	ულიმიტო
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელში : ("ახალი ქსელები" (თბილისი და ქუთაისი),"ახტელი","სიუსი","მეტაკომი" ; "მაგთიფიქსი")	0.04
ადგილობრივი ზარი ყველა სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში (გარდა კავკასიის ონლაინის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებული სადენიან ქსელში (გარდა კავკასიის ონლაინის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
ზარი კავკასიის ონლაინის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით	0.08
ზარი ჯეოსელის მობილურ ქსელში	0.32
ზარი სხვა ოპერატორების მობილურ ქსელში	0.32

შენიშვნა:

- მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში და მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).
- სატელევიზიო არხები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება სილქ ტვ-ის საშუალებით, 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
- მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე **www.silknet.com** , ცხელ ხაზზე: 2 100 200 დარეკვით ან სერვისცენტრების მიმართვის გზით.
- აბონენტს შეუძლია გაეცნოს სილქ ტვ-ის დამატებითი მომსახურების სახეებსა და ტარიფებს სილქ ტვ-ის მენიუს მეშვეობით.

2. **მომსახურების ძირითადი პირობები**

2.1. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**

- ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, **საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით.**
- ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის სააბონენტო გადასახადთან ერთად.

2.2. მომსახურების შეჩერების პირობები

- მომსახურება იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.
- აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული საბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების საბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ვდლ)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მიწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.

2.3. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები (წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)

- თუ აბონენტის მიერ არ მოხდება დავალიანების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან არანაკლებ სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.
- აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის-ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
- ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2.4. მომსახურების აღდგენის პირობები

- მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

3. მოწყობილობების დაბრუნება

3.1. დავალიანების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები" გადახდის დღის დადგომიდან არანაკლებ სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ტვ მსახურებასთან ერთად VOIP სატელეფონო მომსახურება, ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

3.2. აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები" „ხელშეკრულების" შეწყვეტისთანავე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ინტერნეტ, სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურება, და იგი ითხოვს მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას (და იტოვებს სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურებას), ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების" დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების" აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი გახდება „ტექნიკური საშუალებების" ღირებულება.

3.4. აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ცხრილში მითითებული „ტექნიკური საშუალებების" ღირებულება მომსახურების მიღების პერიოდში (ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის არარსებობისას) „ტექნიკური საშუალებების" დაზიანების/განადგურების შემთხვევაში.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის" ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის" მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

აბონენტი:	კომპანია:
ი/მ „ოუფენ ნეტი"	სს "სილქნეტი"
დირექტორი	კომერციული დირექტორი
ნინო [illegible]	ნუგზარ [illegible]
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)